



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №04

2012 წლის 17 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქუჩებისა და მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტისა და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქუჩებისა და მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის თანდართული წესი.

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

**ქუჩებისა და მოედნების
სახელდებისა და ნუმერაციის**

წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. ქუჩებისა და მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის წინამდებარე წესი (შემდგომში _ წესი) შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და იგი ვრცელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მდებარე ქუჩებისა და მოედნების სახელდების, ქუჩების ნუმერაციის საკითხებზე.

2. წესის მიზანია ქუჩებისა და მოედნების სახელდების, ქუჩების ნუმერაციის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და ამ სფეროში წესრიგის დამყარებისათვის ხელშეწყობა.

თავი II

ქუჩებისა და მოედნების სახელდების წესი

მუხლი 2.

1. ქუჩის ან/და მოედნის სახელწოდება შეიძლება აღნიშნავდეს თვალსაჩინო სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწის ვინაობას, მნიშვნელოვან და გამორჩეულ თარიღს (მაგ: 9 აპრილის ქუჩა, 26 მაისის ქუჩა და სხვა), ცალკეულ ღირებულებებსა და ფასეულობებს (მაგ: თავისუფლების მოედანი და სხვა), მნიშვნელოვან ფაქტს ან/და მოვლენას, სხვა გეოგრაფიული ობიექტის (მაგ: ქუთაისის ქუჩა) დასახელებას და სხვა.

2. ქუჩის ან/და მოედნის სახელწოდება უნდა იყოს ენობრივად გამართული, შინაარსობრივად მიზანშეწონილი, გამომდინარეობდეს ხსოვნის კულტურისა და ერის სულიერი კულტურის სხვა ფასეულობებიდან. სახელწოდება არ უნდა ქმნიდეს დისკარმონიას ქართული სახელმწიფოს ტრადიციებთან და დღევანდებლობასთან.

3. ქუჩის ან/და მოედნის სახელწოდება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან. ქ. ქობულეთის, დაბა ჩაქვისა და დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ რამდენიმე ქუჩას ან რამდენიმე მოედანს არ შეიძლება ჰქონდეს ერთი და იგივე სახელწოდება.

4. ქუჩებისა და მოედნების სახელდება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. ქუჩაზე ან/და მოედანზე მისი სახელდების აღმნიშვნელ ნიშანზე (მაჩვენებელზე) სავალდებულოა სახელწოდება მითითებული იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სახელწოდება შეიძლება მიეთითოს აგრეთვე უცხო ენაზეც. ასეთ შემთხვევაში უცხო ენაზე მითითებული ქუჩის ან/და მოედნის სახელწოდება არ შეიძლება განთავსებულ (გამოსახულ) იქნეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე განთავსებული (გამოსახული) სახელწოდების ზევით, მარჯვნივ (დამკვირვებლის პოზიციიდან) ან/და საქართველოს სახელმწიფო ენაზე მოცემულ სახელწოდებაზე დიდი მოცულობით (დიდი ანბანით).

მუხლი 3.

1. ქუჩებისა და მოედნების სახელდებასთან დაკავშირებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი წინადადებით შეიძლება მიმართოს საკრებულოს წევრმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, დაინტერესებულმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.

2. მიმართვაში მითითებული უნდა იყოს მიმართვის ავტორის აზრით თუ რომელ ქუჩას ან მოედანს რა სახელწოდება უნდა მიენიჭოს. მიმართვა უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას. მიმართვა უნდა პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ, ადმინისტრაციული განცხადებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

2. ქუჩებისა და მოედნების სახელდების საფუძველი შეიძლება იყოს ქუჩებისა და მოედნებისათვის არსებული სახელწოდების შეცვლა (გადარქმევა), ახალი ქუჩისა და მოედნისათვის სახელწოდების მინიჭება ან უსახელო ქუჩისა და მოედნისათვის (ასეთის არსებობისას) სახელწოდების მინიჭება.

მუხლი 4.

1. ქუჩებისა და მოედნების სახელდებასთან დაკავშირებული, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის საკრებულოში წინასწარი მომზადება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

2. ქუჩებისა და მოედნების სახელდებასთან დაკავშირებით საკრებულოში შემოსულ წერილობით მომართვას შეისწავლის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისია (შემდგომში – საკრებულოს კომისია). საკრებულოს კომისია საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ ადგენს დასაბუთებულ დასკვნას კონკრეტული ქუჩის ან/და მოედნის სახელ-დების მიზანშეწონილობის თაობაზე.

3. საკრებულოს კომისია ქუჩის ან/და მოედნის სახელდების საკითხს განიხილავს თავის სხდომაზე. ერთ კონკრეტულ საკითხზე შეიძლება ჩატარდეს საკრებულოს რამდენიმე სხდომა. ასეთ შემთხვევაში საკრებულოს კომისია თავის დასკვნას ადგენს ბოლო სხდომაზე. საკრებულოს კომისია ვალდებულია საკითხი განიხილოს და შესაბამისი დასკვნა შეადგინოს საკითხის მისთვის დადგენილი წესით გადაცემიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5.

1. საკრებულოს კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას ღებულობენ და საკრებულოს კომისიას შესაბამის რეკომენდაციებსა და კონსულტაციებს უწევენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქობულეთის Mმუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურის დაწესებულებების, არასამთავრობო სექტორის და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები, რომლებსაც საკრებულოს ბიუროსთან კონსულტაციების შემდეგ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე საკრებულოს კომისიაში სამუშაოდ ანაზღაურების გარეშე მათივე თანხმობით მოიწვევს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე.

2. ქუჩებისა და მოედნების სახელდების საკითხი განიხილება ამ წესის შესაბამისად მაშინაც კი, როდესაც ამ საკითხის წარდგენის ავტორი საკრებულოს კომისიაა.

3. კომისიის სხდომაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით დგება სხდომის ოქმი, რომელშიც სხვა შესაბამის საკითხებთან ერთად აისახება კომისიის წევრებისა და კომისიაში მოწვეული პირების მიერ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოთქმული მოსაზრებები, შეხედულებები და კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებები. კომისიის დასკვნის მიღების დროს გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს ის წევრები, რომლებიც არიან ამ კომისიის შემადგენლობაში.

მუხლი 6.

1. საკრებულოს კომისიის მიერ უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ქუჩის ან მოედნის სახელდების საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის (ქუჩის ან მოედნისათვის მიმართვაში მოცემული სახელწოდების მინიჭების მიზანშეუწონლობის) შესახებ მიმართვის ავტორს (გარდა საკრებულოს წევრისა) ეცნობება საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს აპარა-ტის უფროსის წერილით.

2. საკრებულოს კომისიის მიერ დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ქუჩის ან/და მოედნის სახელდების საკითხი (ქუჩის ან/და მოედნის სახელდების შესახებ მიმართვის ასლი, საკრებულოს

შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი და საკრებულოს კომისიის დასაბუთებული დასკვნის ასლი), საკრებულოს კომისიის მიერ დასკვნის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში საკრებულოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვით შესათანხმებლად ეგზავნება „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალი-ზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის №160 ბრძანებულებით შექმნილ სამთავრობო კომისიას (შემდგომში – სამთავრობო კომისია).

3. სამთავრობო კომისიის მიერ საკრებულოსათვის თანხმობის (დადებითი დასკვნის) მიცემის შემთხვევაში, თანხმობის მიღებიდან 1 თვის ვადაში საკითხი დადგენილი წესით განიხილება საკრებულოს სხდომაზე. ქუჩებისა და მოედნების სახელდების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საკრებულო დადგენილი წესით ლეზულობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – განკარგულებას, რომელიც საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მისი მიღებიდან 7 დღის ვადაში სავალდებულოდ ქვეყნდება საკრებულოს ნორმატიული აქტების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – გაზეთ „აჭარაში“. საკრებულოს ასეთი განკარგულება შეიძლება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებითაც.

4. სამთავრობო კომისიის მიერ საკრებულოსათვის თანხმობის მიცემაზე უარის თქმის (უარყოფითი დასკვნის შედგენის) შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს სხდომაზე საკითხის კენჭისყრის დროს იგი უარყოფითად იქნა გადაწყვეტილი, ამის შესახებ მიმართვის ავტორს (გარდა საკრებულოს წევრისა) ეცნობება საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს აპარატის უფროსის წერილით.

5. კონკრეტულ ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეები და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან ქუჩის ან მოედნის სახელდების შესახებ საკრებულოს განკარგულების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები მოცემულ ქუჩაზე ან მოედანზე არსებული სახელწოდების აღმნიშვნელი ნიშნების (მაჩვენებლების) საკრებულოს განკარგულებასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

თავი III

ქუჩების ნუმერაციის წესი

მუხლი 7.

1. ქუჩის ნუმერაციასთან დაკავშირებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას წერილობითი განცხადებით შეიძლება მიმართოს უძრავი ქონების მესაკუთრე დაინტერესებულმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.

2. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის აზრით, თუ რომელი ქუჩის რომელ ნომერს (ნომრის არარსებობისას რომელ ობიექტს) რა ნომერი უნდა მიენიჭოს. განცხადება უნდა შეიცავდეს დეტალურ დასაბუთებას ნომრის მინიჭების ან შეცვლის თაობაზე. განცხადება უნდა პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ, ადმინისტრაციული განცხადებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

3. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) ს.ს.ი.პ. _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი (დამოწმებული ასლი) საჯარო რეესტრიდან (განცხადების წარდგენის დროს ძალაში არსებული) ქუჩის იმ ნომრით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრის შესახებ, რომელსაც განმცხადებლის აზრით უნდა შეეცვალოს ნომერი;

ბ) ს.ს.ი.პ. _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული საინფორმაციო ცნობა იმის შესახებ, რომ ქუჩის იმ ნომერზე, რომლის მინიჭებაც სურს განმცხადებელს არ არის რეგისტრირებული სხვა უძრავი ქონება;

გ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

4. ქუჩის ნუმერაციის საფუძველი შეიძლება იყოს ქუჩის არსებული ნომრის შეცვლა, ქუჩაზე წარმოქმნილი ახალი უძრავი ობიექტისათვის ნომრის მინიჭება ან ქუჩაზე არსებული უნომრო უძრავი ობიექტისათვის (ასეთის არსებობისას) ნომრის მინიჭება.

მუხლი 8.

1. ქუჩის ნუმერაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირს წერილობითი განცხადება და თანდართული დოკუმენტები შეაქვს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში.

2. ქუჩის ნუმერაციასთან დაკავშირებით წარდგენილ განცხადებას თანდართულ საბუთებთან ერთად წინასწარ, საკრებულოსათვის წარდგენამდე შეისწავლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილი ქუჩების ნუმერაციის საკითხის შემსწავლელი სპეციალური კომისია, რომელსაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური სამსახურის, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის, გამგეობის იურიდიული და ადმინისტრაციული სამსახურების საჯარო მოსამსახურეებისაგან ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით ბრძანებით ქმნის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს სხვა პირებიც.

3. კომისიის შემადგენლობა კომისიის თავმჯდომარის ჩათვლით განისაზღვრება 7 წევრით. კომისია უფლებამოსილია სხდომა ჩაატაროს და განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება არანაკლებ 5 წევრი. კომისია გადაწყვეტილებას (დასკვნას) ღებულობს სხდომაზე დამსწრე წევრების უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. თითოეულ კომისიის წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა. სხდომაზე

კენჭისყრისას ხმათა თანაბარი რაოდენობით განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. დაუშვებელია კომისიის წევრის მიერ ხმის უფლების კომისიის სხვა წევრისათვის ან/და სხვა პირისათვის გადაცემა.

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს ქუჩის ნუმერაციის თაობაზე შეტანილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების დადგენილი წესით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომისიისათვის გადაცემა მისი შეტანიდან 1 დღის ვადაში. კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების დადგენილი წესით მასზე გადაცემიდან 2 დღის ვადაში (ე.ი. სულ 3 დღის ვადაში) შეამოწმოს განცხადება შეესაბამება თუ არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები არის თუ არა სწორად და სრულყოფილად წარდგენილი.

5. თუ განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს ან/და არასრულყოფილადაა წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით კომისიის თავმჯდომარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის წერილის მეშვეობით განმცხადებელს განუსაზღვრავს დამატებითი ინფორმაციის (დოკუმენტების) წარმოდგენის ვადას. თუ ამ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს, მაშინ კომისია ღებულობს დასკვნას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რომელსაც ისევ კომისიის თავმჯდომარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის წერილის მეშვეობით ატყობინებს განმცხადებელს ამის შესახებ.

მუხლი 9.

1. თუ კომისიისათვის გადაცემული განცხადება და თანდართული დოკუმენტები სწორი და სრულყოფილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომისია ვალდებულია განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების მასზე გადაცემიდან 20 კალენდარული დღის ვადაში განიხილოს საკითხი და მიიღოს დასაბუთებული დასკვნა კონკრეტულ ქუჩაზე მდებარე უძრავი ობიექტისათვის ნომრის მინიჭების (არსებულის შეცვლა ან ახლის მინიჭება) შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნას დაინტერესებული პირი (განმცხადებელი).

2. კომისია ვალდებულია სხვა საკითხებთან ერთად განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საჯარო რეესტრის მიერ გაცემული შესაბამისი საინფორმაციო ცნობა) და კომისიის მიერ მოძიებული, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული შესაბამისი მოქმედი დოკუმენტური მასალების მიხედვით შეისწავლოს საკითხი იმის შესახებ, თუ ქუჩის ის ნომერი, რომლის მინიჭებასაც ითხოვს განმცხადებელი ხომ არა აქვს უკვე მინიჭებული ამ ქუჩაზე მდებარე სხვა უძრავ ობიექტს.

3. კომისიის დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. დასკვნაში ცალკე აბზაცის სახით უნდა გამოიყოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის კომისიის მიერ შესწავლის შედეგი. კომისიის დასკვნას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ყველა ის წევრი, რომელმაც კომისიის ამ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი.

მუხლი 10.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომისიის მიერ შესაბამისი დასკვნის მიღებიდან 1 კვირის ვადაში ქუჩის ნუმერაციის თაობაზე დაინტერესებული პირის განცხადება, მასზე თანდართული დოკუმენტები _ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საბუთები, კომისიის დასკვნა, ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის მიერ მოძიებული მოქმედი დოკუმენტური მასალები და საკრებულოს განკარგულების პროექტი (იმ შემთხვევაში, თუ კომისია შესაძლებლად და მიზანშეწონილად თვლის ნომრის მინიჭების საკითხის დადებითად გადაწყვეტას) საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განსახილველად წარედგინება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2. ქუჩის ნუმერაციის თაობაზე საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის საკრებულოში წინასწარი მომზადება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

3. ქუჩის ნუმერაციასთან დაკავშირებით საკრებულოში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს შეისწავლის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომისიის დასკვნის გათვალისწინებით ადგენს დასაბუთებულ დასკვნას ქუჩის ნუმერაციის (არსებული ნომრის შეცვლის ან ახალი ობიექტისათვის ნომრის მინიჭების) შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე.

მუხლი 11.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო კომისიის მიერ უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ქუჩის ნუმერაციის საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის (ნომრის შეცვლაზე ან ახალი ნომრის მინიჭებაზე უარის თქმის) შესახებ განმცხადებელს ეცნობება საკრებულოს აპარატის უფროსის წერილობითი მიმართვით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში საკითხი დადგენილი წესით განიხილება საკრებულოს სხდომაზე. ქუჩის ნუმერაციის საკითხს საკრებულო დადებითად წყვეტს თავისი განკარგულებით.

განკარგულების დამოწმებული ასლი დადგენილი წესით მისი მიღებიდან 7 დღის ვადაში ოფიციალურად ეცნობება (გადაეცემა) განმცხადებელს.

3. ქუჩის ნუმერაციის შესახებ საკრებულოს განკარგულებაში იდენტიფიკაციის მიზნით შეიძლება მიეთითოს მოცემულ ქუჩაზე მდებარე იმ უძრავი ობიექტის მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობისა (პასპორტისა) და პირადი ნომერი), რომელსაც შეეცვალა ან ახლად მიენიჭა შესაბამისი ნომერი. საკრებულოს განკარგულებაში იდენტიფიკაციის მიზნით შეიძლება მითითებულ იქნას სხვა საშუალებები და მონაცემები.

4. განმცხადებელი ვალდებულია ქუჩის ნუმერაციის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, განკარგულების ოფიციალურად გაცნობიდან (გადა-ცემიდან) 1 თვის ვადაში უზრუნველყოს ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონებისათვის შესაბამისი ნომრის აღმნიშვნელი ნიშნის (მაჩვენებლის) განთავსება და სათანადო დოკუმენტაციის საკრებულოს განკარგულებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 12.

1. ქუჩის ნუმერაცია უნდა განხორციელდეს ისე, რომ მან არ გამოიწვიოს ერთი ქუჩის სხვადასხვა ნომრებს შორის არევა, გაუგებრობა ან/და მესამე პირების შეცდომაში შეყვანა.

2. ქუჩის ნუმერაცია უნდა განხორციელდეს არაბული ციფრებით, უწყვეტობის პრინციპის დაცვით. ქუჩის ბოლოს ახალი უძრავი ობიექტების დამატების შემთხვევაში ნუმერაცია გრძელდება უწყვეტად. ქუჩის დასაწყისში ან დასაწყისიდან დასასრულამდე მანძილზე ახალი უძრავი ობიექტების დამატების შემთხვევაში ქუჩის ნუმერაციის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით ახალ ობიექტს ენიჭება უახლოესი უძრავი ობიექტის ნომერი დამატების აღნიშვნით. დამატება აღინიშნება ანბანური წყობის მიხედვით (მაგ: 65-ა, 65-ბ და ა.შ.)

3. ქუჩის ნუმერაცია ხორციელდება ქუჩის კენტი და ლუწი ნომრების (რიცხვების) ურთიერთსაპირისპირო წყობით. ქუჩის ერთ მხარეს ენიჭება კენტი ნომერი, ხოლო მეორე საპირისპირო მხარეს ლუწი ნომერი.

4. ქუჩის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში ქუჩის მოქმედი ნუმერაცია რჩება უცვლელად.

მუხლი 13.

1. განსაკუთრებულ შემთხვევაში ქუჩის ნუმერაციის უწყვეტობის შენარჩუნებისა და ამ საკითხში წესრიგის დამყარების მიზნით, სათანადო დასაბუთების საფუძველზე, საკრებულოს განკარგულებით შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული ქუჩის სრული ხელახალი ნუმერაცია.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საკითხი საკრებულოს წინაშე შეიძლება დასვას საკრებულოს წევრმა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მოცემულ ქუჩაზე მცხოვრებთა (ამ ქუჩაზე მდებარე უძრავი ობიექტების მესაკუთრეთა) არანაკლებ ერთმა მესამედმა.

3. ამ მუხლით განსაზღვრული საკითხი განიხილება, წყდება და მისი აღსრულება ხდება ამ წესის მე-III თავის შესაბამისად, ამ მუხლში მოცემული თავისებურებების გათვალისწინებით. ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხი ქ. ბათუმის საკრებულოში განიხილება უშუალოდ, დადგენილი წესით, ამ წესის მე-III თავის მიხედვით განსაზღვრული განცხადების ქობულეთის მუნიციპალიტეტის გაგობაში შეტანისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომისიის დასკვნის გარეშე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხზე საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულების გამოქვეყნება სავალდებულოა ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით.

თავი IV

სხვა დებულებები

მუხლი 14.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ქუჩების ნუმერაციის საკითხი განიხილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, ხოლო ქუჩებისა და მოედნების სახელდების, აგრეთვე ქუჩების ნუმერაციის საკითხი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განიხილება ამავე კოდექსით დადგენილი წესით, მარტივი ადმინისტრაციული წარმოებითა და ადმინისტრაციული წარმოებით კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში.

2. ამ წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ქუჩებისა და მოედნების სახელდებას, მათ სახელწოდებათა დაცვასა და მართებულად გამოყენებას „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად აკონტროლებს სამთავრობო კომისია.

3. ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საკრებულოს დადგენილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

